ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 29

13 სექტემბერი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ვ. ძნელაძე, გ. გოცირიძე, ა. ლაშხი, ბ. დავითულიანი, ე. კუხიანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. ლევან ჟორჟოლიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. ალექსანდრე ხუჯაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. თინათინ ნიბლოშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ნინო რუხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

ვლადიმერ ჭიღლაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;

კახა სამხარაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგეგელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-0319247124-03; 04.09.2019).

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭიღლაძე

თანამდებობა: - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ მიმდინარე სხდომაზე, გაერთიანებული სხდომის ფორმატში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასთან ერთად ბატონი კახა სამხარაძის სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე იმსჯელებენ და სიტყვა გადასცა ბატონ ვლადიმერ ჭიღლაძეს.

ბატონი ვლადიმერ ჭიღლაძის განმარტებით, ბატონ კახა სამხარაძეს აქვს გამოცდილება თვითმმართველობის დონეზე მუშაობის. სხვადასხვა დროს მუშაობდა სამცხე-ჯავახეთში ბორჯომის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ხოლო შიდა ქართლში - კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის თანამდებობაზე;

კომისიის წევრმა, ბატონმა ვლადიმერ ძნელაძემ აღნიშნა, რომ იგი პირადად იცნობს ბატონ კახა სამხარაძეს და მოხარულია, მსგავსი გამოცდილი კადრის თბილისის მუნიციპალიტეტში გადმოსვლით, ვინაიდან შესწევს უნარი და პროფესიონალიზმი მერიის გუნდის გაძლიერებისა.

კომისიის წევრმა, ბატონმა ბექა დავითულიანმა მიულოცა ბატონ კახა სამხარაძეს აღნიშნულ თანამდებობაზე წარდგენა და იმედი გამოთქვა, რომ იგი დაინიშნება თბილისის სამგორის გამგებლად, რასაც ასევე შეუერთდა, საკრებულოს დეპუტატი, ბატონი გიორგი ჩაკვეტაძე

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ სამგორის რაიონი ერთ-ერთი რაიონია, რომელიც კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, მათ შორის, საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებზე მაღალი მოთხოვნით. დეპუტატმა, მიმართა ბატონ კახა სამხარაძეს, დანიშვნის შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ღონისძიებების გაძლიერებას გარეუბნების გამოცოცხლების მიზნით. დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ ბატონ კახა სამხარაძეს წარმატებები უსურვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ვლადიმერ ჭიღლაძე, ვლადიმერ მნელაძემ, ბექა დავითულიანმა, გიორგი ჩაკვეტაძემ, თამარ ტალიაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე	6
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

გადაწყვიტეს (ერთხმად) განათლებისა და კულტურის კომისია დადებითად აფასებს აღნიშნულ საკითხს და მხარს უჭერს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი